



სასამართლო სხდომის ოქმი

“04” აპრილი 2011 წელი

ქ.თბილისი

თბილისის სააპელაციო სასამართლო
სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემდეგი შემადგენლობით:
ქეთევან კუჭავა (სხდომის თავმჯდომარე, მომხსენებელი)
მოსამართლეები: თამარ ზამბახიძე
ქეთევან მესხიშვილი

სხდომის მდივანი: ლელა მეტრეველი

აპელანტი: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

მოწინააღმდეგე მხარე: სს „საქართველოს საფოსტო ბანკი“, სს „კახეთის პური“,

შპს „თაქლა“, საქ-ოს ფინანსთა სამინისტრო

დავის საგანი: ხელშეკრულების ბათილად ცნობა და ზიანის ანაზღაურება

გასაჩივრებული გადაწყვეტილება: თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილება.

სხდომა დაიწყო: 11:00 საათზე

სხდომა დამთავრდა: 11:10 საათზე

სასამართლო შემადგენლობა შემოდის სხდომის დარბაზში.

სხდომის თავმჯდომარემ სასამართლოს მთავარი სხდომა გახსნილად გამოაცხადა, მოახსენებს სხდომაზე განსახილველ საქმეს.

სხდომის თავმჯდომარე აცხადებს სასამართლოს შემადგენლობას:

სხდომის თავმჯდომარე: ქეთევან კუჭავა
მოსამართლეები: თამარ ზამბახიძე
ქეთევან მესხიშვილი

სხდომის მდივანი: ლელა მეტრეველი

სხდომის მდივანი მოახსენებს:
სასამართლო სხდომაზე გამოცხადდა:

აპელანტი: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელი: **მაკა ნიპარიშვილი** (პირადი №01008034018) წარმოადგინა მინდობილობა, რომელიც დაერთო ოქმს. (იხ.საქმეში).

სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდნენ მოწინააღმდეგე მხარეები: სს „საქართველოს საფოსტო ბანკი“, სს „კახეთის პური“-ს და საქართველოს ეროვნული ბანკის წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარე ამოწმებს წარმომადგენლის უფლებამოსილებას.

საქართველოს სსკ-ის 211-212-ე მუხლების შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარე განმარტავს წესრიგის დაცვის მიზნით მოსამართლის მითითებათა სავალდებულობას და სასამართლო სხდომაზე წერიგის დამრღვევის მიმართ შესაძლო ღონისძიებების გამოყენების შესახებ.

წარმომადგენელს განემარტა სასამართლოს აცილების წესი და საქ. სსკ 83-ე მუხლით გათვალისწინებული უფლებები.

წარმომადგენელს აცილების შესახებ შუამდგომლობა სასამართლოს შემადგენლობაზე და სხდომის მდივნის მიმართ არ აქვს.

სხდომის თავმჯდომარე ეკითხება პროცესის მონაწილე მხარეს, ხომ არა აქვს რაიმე არარსებითი ხასიათის განცხადებები ან შუამდგომლობები.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელი მაკა ნიპარიშვილი შუამდგომლობს სასამართლოს წინაშე და მოახსენებს:

– ჩემთვის როგორც ცნობილია, ეკონომიკის სამინისტროს წარმომადგენელს უნდა მოეგვარებინა ეს საკითხი. მხარეთა შორის ისევ მიმდინარეობს მოლაპარაკება მორიგების მიზნით და სასამართლოს ვთხოვ, თუ შესაძლებელია საქმის განხილვა გადაიდოს კიდევ გარკვეული ვადით.

სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 216-ე, 218-ე, 284-ე მუხლის მესამე ნაწილით და ადგილზე თათბირით

და ა ა დ გ ი ნ ა :

მორიგების ხელშეწყობის მიზნით საქმის განხილვა გადაიდოს **27.04.2011 წელს 10:30 საათზე**, რის თაობაზეც გამოუცხადებულ მხარეებს ეცნობოთ კანონით დადგენილი წესით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის თანახმად თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის სასამართლო უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. სასამართლო შეტყობინება საჯაროდ ვრცელდება შესაბამისი სასამართლოს შენობაში თვალსაჩინო ადგილზე ან ვებგვერდზე განთავსებით ან დაინტერესებული მხარის მოთხოვნის შემთხვევაში – მისივე

ხარჯებით იმ გაზეთში, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში, ან ინფორმაციის სხვა საშუალებებში გამოქვეყნებით. სასამართლო უწყება მხარისათვის ჩაბარებულად ითვლება სასამართლო შეტყობინების შესაბამისი სასამართლოს შენობაში თვალსაჩინო ადგილზე ან ვებგვერდზე განთავსებიდან ან გაზეთში ან ინფორმაციის სხვა საშუალებებში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

ვინაიდან მოწინააღმდეგე მხარისათვის, სს „კახეთის პური“-სათვის უწყებების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, პალატა თვლის, რომ მას საჯარო შეტყობინებით უნდა ეცნობოს სასამართლო სხდომის დღის შესახებ.

სააპელაციო პალატა თვლის, რომ საჯარო შეტყობინება უნდა გავრცელდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ვებ-გვერდზე განხილების გამოქვეყნების გზით.

სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე, 78-ე, 284-ე და 414-ე მუხლებით

დ ა ა დ გ ი ნ ა:

ეცნობოს სს „კახეთის პურის“ დირექტორს იოსებ ბარნაბიშვილს, რომ სასამართლო სხდომა სამოქალაქო საქმეზე №2ბ/77-09, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სააპელაციო საჩივრის გამო, სს „საქართველოს საფოსტო ბანკი“, სს „კახეთის პური“ და შპს „თაქლა“ მიმართ, დანიშნულია **27.04.2011წ. 10:30 საათზე**. სხდომა გაიმართება თბილისის სააპელაციო სასამართლოში (თბილისი, გრ. რობაქიძის 7ა, დარბაზი №6).

1. მხარეს განემარტოს, რომ სასამართლო უწყება მისთვის ჩაბარებულად ითვლება საჯარო შეტყობინების განხორციელებიდან მეშვიდე დღეს.
2. განხილების გამოქვეყნება განხორციელდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ვებ-გვერდზე.
3. განხილებაზე კერძო საჩივრის წარდგენა არ დაიშვება.

სხდომის თავმჯდომარემ, საქართველოს სსკ-ის 291-ე მუხლის შესაბამისად, განმარტა აგრეთვე სხდომის ოქმის გაცნობისა და მასზე შენიშვნების შეტანის უფლება, წესი და ვადა.

სხდომაზე გამოცხადებულ მხარეს ჩამოერთვა ხელწერილი და დაერთო სხდომის ოქმს.

სხდომის თავმჯდომარემ სასამართლო სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე:

/ქეთევან კუჭავა/

სხდომის მდივანი:

/ლელა მეტრეველი/